წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | შაბათი, 16 აპრილი 1916 წ. | № 84

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ორშაბათს, 18 აპრილს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

## ალექსანდრა კონსტანტინეს ასულის
## კვირიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ განსვენებულის გულდამწვარი **მეუღლე პეტრე პავლეს ძე, დედამთილი სალომე დავითის ასული და მაზლი ვასილ პავლეს ძე კვირიკაშვილები.** წირვა დაიწყება 9 ს., პანაშვიდი წირვის შემდეგ.

(2-86-1)

სამშაბათს, შუაღამისას, აქიმოვის ქუჩაზე, შუა ბაზარში, ფრანგების საყდრის იქით და ებრაელთა სალოცავის პირდაპირ, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სტამბის ხელოსანი

## ალექსანდრე იაკობის ძე
## მ ი რ ა ქ ო ვ ი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ევგენი ლუკას ასული, მარია ალექსანდრეს ასული ტარასოვისა და ფელიქს ალექსანდრეს ძე,** პირველი მეუღლე და მეორე შვილები. გამოსვენება სახლიდან იქნება შაბათს 16 აპრილს, დილით $9^1/_2$ საათზე შუაბაზრის რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში და იქიდან კუკიას, წმ. ნინოს კათოლიკეთა სასაფლაოზე.

## სახალხო სახლი (ვ. ზუბალაშვილის სახელობისა)

**ორშაბათს,** 18 **აპრილს** 1916 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ვ. შექსპირის** ცნობილი ტრაღედია

## მ ე ფ ე ლ ი რ ი

5 მოქ. და 9 სურათად, თარგ. ი. მაჩაბელისა და ი. ჭავჭავაძისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ბეჟანიშვილი ს., ქიქოძე ანეტა, დავითაშვილი ნ., აბაშიძე ვასო, გუნია ვალერიან, თარალაშვილი ი., ზარდალიშვილი ი., იმხნელი გ., ვარვარიძე ვ., იმედაშვილი, კორიშელი პ., გვარაძე ნ. მამფორია ილ., სარაული კ. და სხ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ◆ რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

**ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მან. 50 კ.-დე".**

შემდეგი წარმოდგენა: **ჰამლეტი.**

(3-85-1)

საგალანტერიო მაღაზია

## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში

## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**

(112—წ.)

## მოდური მაღაზია
## გ. ბაშარულისა

სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

## მხოლოდ ევროპიული

(—83—5)

## ლექსთა კრებული



-სა

თანდათანობით ურიგდება ხელის მომწერთ.

**ზედმეტად მორჩენილი წიგნები იყიდება:**

1) **წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში.**
2) **„განათლების“** კანტორაში (ოლღას ქუჩა).
3) **„ნოვ, რეჩ“-ის** წიგნის მაღაზიაში (პროსპექტზე).

საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ტელეფონი, 17—21.**

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**◆პროვიზორის ახვლედიანისა◆**

# ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 14 აპრ. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. იკსკიულის სიმაგრეებთან სროლა გრძელდება. დვინის ნაპირებზე გამოჩნდნენ მფრინავები, რომელნიც განაგრძობენ ყუმბარების დაშენას. დვინის რაიონში გუშინ მტრის 7 ჰაეროპლანი შენიშნეს. ერთს მათგანს ჩვენი ნიშანი ჰქონდა. ჩვენი მფრინავები შეებრძოლენ გერმანელებს.

გემმა „ილია მურმეცმა“ დაუდძევანის სადგურს 13 ფუთიანი ყუმბარები დაუშინა; სადგურ უქვერტიანზე ჩამოყრილმა ყუმბარებმა ცეცხლი გაჩინა. 13 აპრილს, ღამით, 2 საათის ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მტერმა შემოუტია ვლარ გროშინის მიდამოს, რომელიც მდებარეობს ბარანოვიჩის ჩრდილოაღმოსავლეთით. მტერმა საწადელს ვერ მიაღწია. დილით ისევ გამოჩნდა მტერი, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა ისევ გაჰფანტა იგი. მტრის არტილერიამ განსაკუთრებითი მოქმედება გამოიჩინა ოგინის არხის და მდ. [illegible]იასელდის მიდამოებში. გენერალ ევერტის სამოქმედო ასპარეზზე მტრის ჰაეროპლანები ყუმბარებს ისროდენ. ჩვენ დავიჭირეთ სოფელი ხრომიაკოვი როვნოკოველის რკინის გზის მახლობლად. მტრის წინააღმდეგობა შევმუსრეთ ჩვენი ცეცხლით.

—

**პარიზი,** 13 აპრილი. დღის ცნობა. მდ. მდ. ენის დასავლეთ ჩრდილოეთით ტყეზე იერიში მივიტანეთ და 72 კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. ტრუაიონის მიდამოებში მტრის მზვერავი რაზმები ჩვენს თხრილებს მოუახლოვდნენ, მაგრამ სროლით უკუვაგდეთ. მაასის დასავლეთით მტერმა საშინლად დაუშინა ზარბაზნები ავოკურის ტყეს და „304“ სიმაღლეს. ვევრში გერმანელებმა მძიმე ზარბაზნები დაუშინეს ოდემონს და რონეს. ჩვენი არტილერიაც პასუხს აძლევდა. ლორენსში მტერი შეეცადა მოულოდნელად პატარა ციხეს დასცემოდა ემბერლინის ჩრდილოეთით, მაგრამ მოვიგერიეთ. ვოგეზებში მტრის რაზმები გამოჩნდენ და გავფანტეთ. 3 საათზე ჩვენი ჰაეროპლანი შეებრძოლა „ცეპელინს“ 5 ათასი ადლის სიმაღლეზე და 19 ასანთი ყუმბარა ესროლა. ჩვენი ჰაეროპლანი შეება მტრისას და გევილთან ჩამოაგდო, მფრინავი ტყვედ წავიყვანეთ.

**პარიზი,** საღამოს ოფიციალი ცნობა. ბუა-დე-ბიუტტის მიდამოებში ენის ჩრდილოეთით ზარბაზნებით ბრძოლა მოხდა. ტყვედ წამოვიყვანეთ 158, მათგან 4 ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 2 ტყვიის მფრქვეველი და ყუმბარის მფრქვეველი. შამპანში—დორმუარის ველებზე, ჩვენი ზარბაზნები განაგრძობდნენ სროლას. არგონებში ჩვენმა ზარბაზნებმა გერმანელთა საალყო სიმაგრენი გაანადგურა „205 სიმაღლეზე. მაასის დასავლეთით ავოკურში, ენში—სიმაღლე „304“ და მონზევილლში საშინელი სროლაა ყუმბარებისა. ზარბაზნები ქარიშხლიან ცეცხლს აფრქვევენ მორტჰომის მიდამოებში. გერმანელებმა დილით გააძლიერეს ცეცხლი ვარანქვილ-ლიუვენილის მიმართულებით. ლოტარინგიაში გერმანელთა ფრთა ცდილობდა სენონის ჩრდილოეთით ჩვენი სანგრების დაჭერას, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა შეაჩერა. გერმანელებმა დაჰკარგეს 1000 კაცი. 13 აპრილს, საღამოთი ჩვენი ჰაეროპლანები დიდს მოქმედებას იჩენდა ვერდენის მიდამოებში. ბევრი ყუმბარები ჩამოჰყარეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ტრაპიზონი.**

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბის ცნობით, ტრაპიზონის აღების შემდეგ რუსის ჯარი კვლავ განაგრძობდა ზღვის სანაპიროებზე წინ სვლას. პეტროგრადიდან მოსულ ცნობით, ოსმალთა მთავარი ჯარი ტრაპიზონის აღებამდე ქალაქიდან გასულა. ამგვარად ცოცხალი ძალა შეინარჩუნეს. ოსმალთა უკან დახევა დაიწყო მაშინ, როდესაც ყარა-დერესთან დამარცხდნენ. ოსმალებმა პირველად სამხრეთ-დასავლეთით დაიხიეს; ეს იმით აიხსნება, რომ მათ შიში ჰქონდათ ზღვიდან გადმოსხმულ ჯარისა. ამის გარდა მათი დახევა გიუმიშხანისაკენ იმით აიხსნება, რომ რუსთა ბაიბურთის ჯარი, მათის აზრით, სისწრაფით ვერ მოასწრებდა ბაიბურთის აღებას და მით გზა ხსნილი ექნებოდათ სამხრეთ-დასავლეთის მხრივ.

ტრაპიზონის აღებას მეტ მნიშვნელობას აძლევენ, ვიდრე აზრუმის აღებას. ტრაპიზონის გაშლილი მიდამოები საშვალებას იძლევა დიდმნიშვნელოვან სათმარ მოქმედების დასაწყებად. ამ ადგილას რუსთა ხმელეთის და საზღვაო ჯარს შეთანხმებული მოქმედების დაწყება შეუძლიათ, რაც რომ ოსმალთა ჯარს საფრთხეში ჩააგდებს.

**რუსის ჯარი საფრანგეთში.**

„Berlingske Tidende“ პარიზიდან იტყობინებიან: რუსის ჯარის გადასხმამ მარსელში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფართო საზოგადოებაზე, ყველას დაავიწყდა ამერიკის ულტიმატუმი გერმანეთისადმი. რუსის ჯარის მოსვლას დიდი ხანია მოელოდნენ და აშკარადაც ლაპარაკობდნენ, მაგრამ იგვიანებდა, რის გამოც უიმედობას ეძლეოდა საზოგადოება. ჟოფრის ბრძანებამ, რუსის ჯარის მოსვლის გამო, საზოგადოება აღაფრთოვანა და ყველას იმედი გაეღვიძა. საფრანგეთის პრესა დიდი აღფრთოვანებით ეგებება რუსის ჯარს და აღნიშნავს რუსეთ-საფრანგეთის მკვიდრ კავშირს. რა დანიშნულება აქვს ამ ჯარს, ან რამდენია არავინ იცის, რადგანაც აკრძალულია ამაზე წერა. პრესა მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მარსელში დიდი ძალი რუსის ჯარი მოვიდაო. ეს ჯარი ადრე უნდა მოსულიყო, მაგრამ ხელი შეუშალა ხმელთა-შუა ზღვის ღელვამაო.

**დვინის მიდამოები.**

რიგიდან იტყობინებიან: წყალდიდობამ იკლო, რის გამოც დვინის მიდამოებში გერმანელები ცდილობენ ბრძოლა გააძლიერონ. ფრიდრიხშტადტის მიდამოებში გერმანელები ზარბაზნებს უშენენ ნაპირას და რიგა-ორლოვის რკინის გზის შტოს. ფრიდრიხშტადტ-იაკობშტადტის ხაზით გამოჩნდა ჯავშნიანი ავტომობილი, რომელიც შეეცადა ტყვიის დაშენას, მაგრამ არტილერიის ცეცხლით უკუვაგდეთ.

დვინის მიდამოებში განუწყვეტლივ მოქმედებენ მტრის მფრინავები და მრავალ ყუმბარებსაც უშენენ რუსების სიმაგრეებს. ერთი სიტყვით, მტერი ყოველ ღონეს ხმარობს და საშუალებებს არ ერიდება, რათა მოპირდაპირეთა ბანაკი დააზარალოს.

**საფრანგეთის პრესა.**

პარიზიდან მოსულ ცნობებიდან ვიგებთ, რომ რუსის ჯარი მარსელში დიდი ამბით მიიღეს. ამის გამო გაზეთები სხვა და სხვა აზრს გამოსთქვამენ.

Le Jouran“ სწერს: ძლიერი და დაუშრეტელი ძალა რუსეთისა კვლავ მზად არის საგმირო საქმეებისათვის და ამისათვის ძმური ხელი გამოგვიშვირა.

„Matin“ სწერს: რუსის ჯარი მზათ არის ჩვენთან ერთად საბრძოლველად, რაც საფრანგეთისათვის არის ნიშანი ერთობისა და ომის კეთილად დაგვირგვინებისა.

„Petit Journal“ იტყობინება: რუსის ჯარის მოსვლა ნიშანია გამარჯვებისა. ესენი შეუერთებენ თავიანთ დროშას, საფრანგეთი, ინგლისი და

ბელგეთის დროშებს საფრანგეთის მიწა-წყალზე საბრძოლველად.

**გერმანელები ტრაპიზონის აღების შესახებ.**

„Koelnische Zeitung“ აცხადებს: სტრატეგიული მდგომარეობა სომხეთის ასპარეზზე უგზოობისა გამო აუტანელია. ამის გამო ოსმალეთის სარდლები უნდა შეჰრიგებოდნენ აზრუმის და ტრაპიზონის დაკარგვას. თუმცა ზარალი დიდია, მაგრამ ამას გარდამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. სახიფათო მაშინ იქნებოდა, თუ რუსეთს წინ სვლა განეგრძო და ოსმალთა ცოცხალი ძალა შეემუსრა. ტრაპიზონის აღებას მხოლოდ მორალური მნიშვნელობა აქვს რუსეთისა და მისი მოკავშირებისათვის.

**სალონიკში.**

ბუქარესტიდან იტყობინებიან: სალონიკის ოპერაციები მაისში დაიწყება. ახლა მხოლოდ მცირე შეტაკებები ხდება, რომლის ინიციატივაც ეკუთვნით გერმანო-ბულგარელებს.

**„Matin“-ის პრემია.**

პარიზის გაზეთმა „Matin“-მა დაუნიშნა ჯილდო 10,000 ფრანკი, იმ არტილერისტებს, რომელნიც ჩამოაგდებენ პირველ ცეპელინს გერმანელებისას და 25.000 ფრანკი მფრინავს, ვინც ასრულებს ამ მოვალეობას. 8—21 თებერვალს, რევინის მახლობლად ჩამოაგდეს ცეპელინი. რედაქციამ 10,000 ფრანკი მაშინვე გაგზავნა დაპირებისამებრ, მაგრამ კაპიტანმა დიუპონმა, წერილით აცნობა რედაქციას, იგი დიდს მადლობას სწირავს და სთხოვს ფული გადაეცეს ომში დასახიჩრებულთ. ასევე დაამტკიცა სამხედრო მინისტრმა.

**რუმინელ გერმანოფილთა მეთაურის მოგზაურობა.**

ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში, მიღებულია ცნობები, რომ რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნამყოფი ერთი მეთაურთაგანი რუმინელების გერმანოფილთა კარპი, საალდგომო კვირაში სტამბოლს ესტუმრება. იგი გავლით ერთი დღით სოფიაში შეივლის, სადაც ბულგარელ სახელმწიფო მოღვაწეებთან ითათბირებს.

**სტრათოსის საუბარი.**

„Fribune de Genève“ ჰბეჭდავს საუბარს ბერძენთა ნამინისტრალ სტრათოსისას, რომელმაც განაცხადა: წარსულ ენკენისთვეს, საბერძნეთს არ შეეძლო ჩარეულიყო ომში, როდესაც ამას ითხოვდენ მოკავშირენი. მაშინ სერბთა მხედრობა ჩაბმული იყო ავსტრია-გერმანეთთან ომში და საბერძნეთი უნდა გამკლავებოდა ოსმალეთ-ბულგარეთს, რაიცა ყოვლად შეუძლებელი იყო. ინგლის-საფრანგეთის მცირე ძალები სრულიად უმნიშვნელო იყვნენ სალონიკში. რასაკვირველია ყველა ამის და გამო საბერძნეთი საშინელ დამარცხებას იწვევდა და სალონიკიც გერმან-ბულგართ ჩაუვარდებოდათ ხელში საბერძნეთი ინგლის-საფრანგეთის მხარეზეა, მხოლოდ ომში მაშინ ჩაერევა, როდესაც სამხედრო მოქმედების ინიციატივა მოკავშირეთა ხელში გადავა.

**ბალკანეთში.**

ათინიდან იტყობინებიან: გერმანეთ-ბულგარელთა რაზმები შეიჭრნენ საბერძნეთის საზღვრებში, დაატყვევეს 45 ცნობილი მოქალაქე, რომელთა შორის 17 ქალია.

საფრანგეთის ჰაეროპლანები მედგრად უშენენ ყუმბარებს მტრის ბანაკს.

6 აპრილს გერმანეთის ჰაეროპლანთა ესკადრა დაესხა მოკავშირეთ, მაგრამ საგრძნობელი ზარალი არ მოუყენებია.

# ბრძოლის ველზე

**კავკასიის ასპარეზი.**

კავკასიის ასპარეზზე მოქმედება გაცილებით მეტს ყურადღებას იპყრობს, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო ტრაპიზონის დაცემის შემდეგ. ირკვევა, რომ ოსმალთა საქმე გამოსწორებულა. მაშველი ჯარები მოსულიათ, რომ ყოველმხრით სცდილობენ ბრძოლის ინიციატივა იგდონ ხელთ. აშკალას და ბაიბურთს გარდა ახლა დეპეშათა სააგენტო იხსენიებს მუშისა და ბითლისის მიმართულებას. რა პირობებშია აქ ბრძოლა, არ ვიცით. ბითლისის მხრით რომ რუსებს წინ ნაბიჯი გადაუდგიათ, ეს ვიცით, მათი მიზანია გაჭრა სპარსეთისკენ და ბაღდადის რკინის გზის ხელში ჩაგდება. მაგრამ ცენტრი სიმძიმისა, თქმა არ უნდა, ისევ ცენტრში უნდა ვეძიოთ და ეს ცენტრი იგივე ერზინჯანის მიმართულებაა, საიდანაც შეუწყვეტლივ მოაქვთ თურმე იერიშები. მეორე ფრთა და ერზინჯან-მახათუნ-აშკალა-ბაიბერთის ოპერაციის განსამტკიცებლად უტევს დიარბექირის მხრით. ერთი სიტყვით, საქმე მწვავდება, მდგომარეობა რთულდება. ოსმალთ მაშველი ჯარები მოსულიათ. ყოვლიდან სჩანს, რომ გერმანეთმა ყურად იღო ოსმალთა დაჩივლება და იარაღთან ერთად ცოცხალი ძალებიც მოაშველა. გერმანეთმა კარგად უწყის ამ აზიელ ქომაგის ჩამოშორება თითქმის ნახევარ ომის წაგებას უდრის. მიტომაც აღარასფერს იშურებს და კავკასიის ასპარეზისკენ მოერეკება როგორც ოსმალთა კორპუსებს, ისე ბულგარელებს.

**ვერდენის გარშემო.**

ვერდენის ოპერაცია უფრო კონკრეტულ ფორმებში ყალიბდება. აქნობამდე თუ სხვა და სხვა მხრით უტევდნენ, ეხლა მთელი ლაშქარი ორ ნაწილად გაუყვიათ და წესიერად დასავლეთით და აღმოსავლეთით უტევენ. რა თქმა უნდა, დასავლეთით იგივე მორტჰომ-კიუმიერის ხაზი ექნებათ ამოღებული. მორტჰომის მეტი წილი პოზიციები ეხლა გერმანელთა ხელშია. ვიდრე ამას არ გაანგრევენ, მანამდე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვერდენის ბურჯი კიდევ კარგა ხანს გასძლებს. „304“ მაღლობი და მის აღმოსავლეთით რაიონში ორდენმონის ტყის სამხრეთით და დუომონისა და ვოს პოზიციების შუა გერმანელთა არტილერია არა სცხრება. ვევრშიც რამდენჯერმე იერიში მიიტანეს ეპარჟთან და 200 მეტრზე წაიწიეს გერმანელებმა.

**საზღვაო ბრძოლა.**

გერმანეთი წყალქვეშა ნავებით განაგრძობს თარეშს. „ტაიმსის“ ანგარიშით დღიდან ომის გამოცხადებისა ამ წლის მარტის ათამდე გერმანელთ დაუღუპნიათ ინგლისელთათვის 379 სავაჭრო გემი, სულ 1,320,171 ტონა წყალწყვისა, საფრანგეთს 41 გემი, ბელგეთს ათი, რუსეთს 27, იტალიის 21, იაპონიის 3. აქ არ არის ნაანგარიშევი როგორც ჯავშნოსნები, ისე იალქნიანი გემების დაღუპვა. არც ნეიტრალ სახელმწიფოთა გემები, რომელთაც კონტრაბანდა ინგლისში მიჰქონდებიათ. განსაკუთრებით ადმირალ ტირპიცის გადაყენების შემდეგ სავაჭრო გემთა დაღუპვა ისე გახშირდა, რომ ათ მარტიდან დღემდე თვალსაჩინო რიცხვს მივიღებთ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სტატისტიკური ცნობების მოკრება ძნელია, ეს კი აშკარა, რომ ზარალი იმდენად საგრძნობელია და შემზარავი, რომ ერთის მხრით ამ გარემოებამ ირლანდია ააჯანყა ინგლისის წინააღმდეგ, ხოლო თვით გერმანეთს მუქარის მუშტი მოუღერა ამერიკამ.

X

## თბილისი, 16 აპრილი.

**მორიგი საკითხები.**

ამ შავბნელმა ომმა ჩვენი ქვეყნიდან დიდი ზვარაკი შეიწირა. ჩვენმა სამშობლომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მუდმივ ომებით სისხლ-დაშრეტილმა და დასუსტებულმა კიდევ უმაგალითო მსხვერპლი გაიღო მაგრამ ძლიერი განუწყვეტელ ომებში გამობრძენდილი და გაკაჟებული ერი სულით არ ეცემა, დაუნდობელ ბედის წინაშე ქედს არ იხრის და რაც უფრო მწარეა მისი განცდა მით უფრო ძლიერია წყურვილი ეროვნული აყვავებისა, აღორძინებისა. სავალალოა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ძალები დაქსაქსულია და ეროვნული მისწრაფებები, ერში ბუნებრივად გაღვიძებული, თავის გარშემო ჯერ კიდევ ვერ იკრებს ქართველი ერის ყველა წრეებს. საშინელია ეს ორი წელი, სიმწარით და განსაცდელით აღვსილი, მაგრამ ამ შავბნელმა დრომაც ჩვენ მოგვიტანა ისეთი წუთები, როდესაც ჩვენ ერს მწუხარება ეროვნული აღფრთოვანებით და აღტყინებით უნდა შეეცვალა და თავის მივიწყებულ კერისთვის ეროვნული ცეცხლი შეემატებინა. მაგრამ ამ წამებმაც უნაყოფოდ ჩაიარა ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენი ეროვნული ცხოვრების დაქსაქსულობა აქაც თავს იჩენს და ამ ომს თუ რამე ოდნავი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი ეროვნული საქმისთვის, ჩვენ ვერ გამოვიყენეთ, ვერ ვისარგებლეთ.

დაირღვა და წაიშალა სახელმწიფ. საზღვრები იმ ქვეყანაში, სადაც ქართველი ერი მრავალ საუკუნეთა განმავლობაშიდ სჭედდა თავისსა და სხვის ბედსა და მომავალს სხვადასხვა მიმართულებით, გაფართოვდა სახელმწიფოებრივი საზღვრები და ქართული ეროვნული არსის განუყოფელი ნაწილები, რომელიც მუხთალი ბედის ტრიალით საქართველოდან ჩამოშორებული იყვნენ, თავის სამშობლო მკერდს დაუბრუნდნენ და ამ რიგად ერთს სახელმწიფოებრივ ფარგლებში მოექცა სრულიად საქართველოს მიწა-წყალი.

ასე აღსრულდა საქართველოს გვირგვინოსანის სურვილი, რომელიც დიდ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებით მოითხოვდა რუსეთიდან ნაცვლად აყრილ უმაღლეს ხელმწიფების უფლებისა, სიქართველოსთვის საუკუნეთა განმავლობაში უთანასწორო ომებში დაკარგულ ნაწილების შემოერთებას. განა წარმოიდგენდა ამ ხელშეკრულობის ავტორი, რომ მისი სურვილის ახდენა ასე უმნიშვნელო და უშედეგო იქნებოდა ქართვ. ერისთვის? საქართველოს მეორე ნახევარი, ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას ჩამოშორებული ამ ომამდის, ამ ომის დროს ჩვენს სამშობლოს უერთდება და მთელ ქართველთა მიწა-წყალი ერთს სახელმწიფოებრივ ზღუდეებში ექცევა. მაგრამ განა მით გაძლიერდა საქართველოს ეროვნული სხეული, ამოძრავდა და აღორძინდა ქართული ეროვნული საქმე? რაც იყო წინეთ, ყველას გვახსოვს. სამაჰმადიანო საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ამის მაჩვენებელია, მაგრამ ჩვენ წარსულის შეცდომები თითქოს სავსებით შევინანეთ და ახალს გზას დავადექით, გზას ეროვნული ცხოვრების აღდგენა-აღმშენებლობისას.

თითქოს სავსებით შევიგნეთ წარსულის შეცდომები, განვიცადეთ ამით გამოწვეული ეროვნული საქმის ხიფათი და გასაჭირი და მიუხედავად ამისა ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეგვიგნია გაერთიანებული ეროვნული ცხოვრების შექმნის საჭიროება და ქართველი ერი საქართველოს დაქსაქსული ნაწილების შედუღება-შეკავშირების გზას ჯერ კიდევ ვერ დასდგომია. აჭარის უბედურობამ ქართველ ერს მწვავე ტკივილები მიაყენა და ჩვენი საზოგადოებაც შეეცადა თავის ძველი შეცდომების გამოსწორებას. ეხლა აჭარის იქით ახალი ჰორიზონტები გადიშალა და საქართველოს დიდი ნაწილი ჩვენს საერთო პოლიტიკურ ცის ქვეშ მოჰყვა. დიდი ხნით ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას ჩამოშორებული ლაზისტანი ისე, როგორც დანარჩენი სამაჰმადიანო საქართველო წინანდელ ომების შემდეგ, ჩვენგან დიდს მზრუნველობას და ყურადღებას მოითხოვს. მასთან ეროვნული კავშირის აღდგენა ეკონომიური და კულტურული დამოკიდებულების განახლებით, ჩვენი ეროვნული პოლიტიკის მორიგი საკითხია, და საკითხი დიდი და თან საჩქარო. ქართულ საქველმოქმედო და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებათ, პრესას და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს სამოქმედო ასპარეზი უფართოვდებათ და ყველა ჩვენმა ეროვნულმა ძალებმა მოქმედება უნდა გააცხოველონ, რომ ეხლად შემოერთებული საქართველოს ნაწილები ჩვენი ეროვნული ცხოვრების გარეშე არ დარჩენ.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: გერმანეთის ყველა გაზეთები ერთხმად აღიარებენ, ამერიკასთან ომი ახლო მომავალში აუცილიბელიაო.**

—

**გერმანეთის დიპლომატია კვლავინდებურად მუყაით მუშაობას განაგრძობს და ცდილობს რაც კი შეიძლება ხელსაყრელად შეეკრას ნეიტრალ სახელმწიფოებს, რაც უეჭველია სურსათის საკითხის გადაჭრას ძლიერ გაუადვილებს.**

—

**იმპერატორ ვილჰელმს ვილნოში ელიან. სარწმუნო წყაროები გადმოგვცემენ, რომ კაიზერი ხელმძღვანელობას გაუწევს გერმანეთის ჯარს რუსეთის ასპარეზზეო.**

—

**„დეილ ტელეგრაფი“ სწერს: რუსის ჯარის უკანასკნელმა იერიშებმა ოსმალები საგონებელში ჩააგდო. მათ ძალიან ეშინიათ, რომ რუსებმა არ გადაუჭრან ის გზები, რომელნიც აერთებენ სომხეთს და მესოპოტამიას. ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ ოსმალები ჯარს სწრაფად აგროვებენ დიარბეკირ-სივასის მხარეს.**

—

**„დეილი ტელეგრაფი“-ს ცნობით ოსმალებმა ალბად უკვე მოასწრეს მაშველი ჯარის მოყვანა ტრაპიზონთან, რადგანაც აქ ოსმალები შემო-[illegible] აწარმოებენ.**

პოლკოვნიკი რიაპინგტონი გაზეთ „ტაიმს“-ში სწერს: გერმანეთმა შეჰკრიბა ორი ახალი არმია ვერდენთან და სომახთან. ეს გარემოება აიძულებს გერმანეთს სხვა ასპარეზზე მოგერიებითი ბრძოლა აწარმოვოს.

—

უკანასკნელ ცნობით ვერდენთან მდინარე მაასის მარცხენა ნაპირას გერმანელებს მიუყვანიათ რვა ახალი დივიზია, მარჯვენა ნაპირზე კი ოცდა ორი დივიზია.

—

ირლანდიაში მომხდარ შეიარაღებულ ამბოხების შესახებ სოციალ-დემოკრატმა ლიბკნეხტმა განაცხადა: მე ადრევე ვიცოდი გერმანეთის აგენტების განზრახვა, მაგრამ ამის შესახებ ხმას არ მაღებინებდენ. როდესაც განვიზრახე რეიხსტაგის ტრიბუნიდან ამის შესახებ მეთქვა რამე პრეზიდენტმა მაშინვე გამაჩერა და ლაპარაკის ნება აღარ მომცა.

—

„ობსერვერ“-ი სწერს: ახლანდელი მსოფლიო ომი შეიძლება მალე დასრულდეს, თუ რუმინეთი შეესევა ავსტრიას და ამავე დროს მოკავშირეები დაეხმარებიან კავკასიის ჯარს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

—

ოსმალეთის დაპყრობილ ადგილებში საეკლესიო საქმის მოწესრიგებას სინოდი ასე ჰფიქრობს: ამ ადგილებიდან ოსმალეთის სამოქალაქო მთავრობის წასვლას სასულიერო მთავრობის წასვლაც მოჰყვა, ეს მხარე რუსეთის ეკლესიას დაემორჩილება. საბერძნეთის პატრიარქის საეკლესიო იურისდიქცია სინოდს უნდა გადაეცეს. ტრაპიზონის საექსარხოსო დაარსებაზე ფიქრიც მეტია, მისი მიწა-წყალი საქართველოს საექსარხოსო ემეზობლება და იგი საქართველოს საექსარხოსო დაექვემდებარება. ამ გზით არც ახალს ხარჯს მოითხოვს ხაზინიდან.

ლ. ჯ.

(პეტრ. საგენტოს დეპეშები).

ვერდენის ასპარეზზე ავოკურის ტყესთან და „304“ სიმაღლესთან ბრძოლა გრძელდება.

—

ლოტარინგიაში გერმანელები მიუახლოვდნენ ერთ სიმაგრეს ემბერნილთან, მაგრამ ფრანგებმა უკუაგდეს.

—

ვერდენისა და რუას მიდამოებში ფრანგების მფრინავებმა ასამდე ყუმბარა ჩამოაგდეს.

—

დოირან-გევგელის ხაზით ზარბაზნებით ბრძოლაა.

—

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები

(გაგრძელება. იხ. „საქრ.“ № 83)

შემდეგი 2911 წელი თუმც 1910 წელთან შედარებით ეგ უკანასკნელი წელი თვალსაჩინო ზრდას გვიჩვენებს; თუ შევადარებთ 1911 წლის პლანტაციათა სივრცეს 1908 წელს დავინახავთ, რომ ეგ სივრცე $88,_{43}\%$-ით გაზდილა, შემდეგი 1909 წელთან შედარებით იმავე წლის ზრდა გამოიხატება 39,19%-ით. აქედან ცხადია რომ საერთოთ წარმოება გაზდილა, მაგრამ შევადაროთ სამრეწველო პლანტაციათა ციფრებს:

| წლები | საოჯახო პლანტაც. რიცხვი | საოჯახო პლანტაც. სივრცე | მოსავლი საოჯ. პლან. ჯამ. ფუთ. |
|---|---|---|---|
| 1908 | 4.193 | 23,7 | 1.542 |
| 1909 | 4.164 | 27,0 | 1,145 |
| 1910 | 3.585 | 19,8 | 1383 |
| 1911 | 3.550 | 25,0 | 1.933 |

დამახასიათებელია რომ ამ პლანტაციათა სივრცის რაოდენობის **უმცირესი** რიცხვი სწორეთ იმ 1910 წელზე მოდის, რომელზედაც, როგორც ზევით დავინახეთ, სამრეწველო პლანტაციათა სივრცის **უდიდესი** რაოდენობა მოდიოდა.

**გაიზარდა თამბაქოს სამრეწველო წარმოება თუ არა მისი საოჯახო წარმოება დაქვეითდა, აგეთი ორგანიული** კავშირის დახასიათება ამ ორ დარგთა შორის მოყვანილ ციფრებზე უკეთ არაფერს შეუძლია. იგივე ციფრები მოწმობენ, რომ ქუთაისის გუბერნიაში თამბაქოს მოშენების საქმე თუმც სამრეწველო ნიადაგზე დგას, რადგან სამრეწველო სივრცის რაოდენობა გაცილებით მეტია საოჯახო წარმოების სივრცეზე, მაგრამ ეგ უკანასკნელი ჯერ კიდევ განაგრძობს პირველთან პარალელურათ არსებობას. ეხლა შევეხოთ მესამე საყურადღებო დარგს ჩვენი ეკონომიკისას — მეაბრეშუმეობას. ამ უკანასკნელი დარგის წარმოების ავკარგიანობა შეიძლებოდა მითი დაგვესურათებია, თუ რამდენათ მოიკიდა ფეხი ჩვენ სასოფლო მეურნეობაში ბჟოლის ხის მოშენებამ; თუ უკანასკნელი ვითარდება თავისი სპეციალური მიზნით ემსახუროს აბრეშუმის მოყვანის წარმოებას, მაშინ ცხადია უკანასკნელიც განვითარების გზაზე ყოფილა დამდგარი. საუბედუროთ სათანადო უწყებათ ცდაც კი არ მოუხდენიათ აღნიშნულ საკითხის გამოსარკვევათ. ისიც უნდა ითქვას რომ სასოფლო მეურნეობაში გეგმით შეწყობილი, მწყობრი მუშაობა ამ ნიადაგზე არ წარმოებს. ამ გვარათ მეაბრეშუმეობა, ეს ძვირფასი დარგი ვაჭრული და მრეწველობითი წარმოებისა იკვებება უმთავრესათ შემთხვევითი მოსავლით ბჟოლის ხეებისა. მხოლოდ ერთი განმარტოებული ცნობაღა მოიძებნება „სტატისტიურ ანგარიშებში“, რომ 1909 წ. 1200 დესიატინა იყო გაშენებული ბჟოლის ხეებით; ამ რიცხვს „ანგარიშში“ უყურებენ როგორც წარმატებას წინა წლებთან შედარებით თვით აბრეშუმის მოყვანის საქმე შემდეგ სურათს იძლევა:

| | 1909 წ. | 1910 წ. |
|---|---|---|
| დაიხარჯა | 80.000 კოლ. | ? |
| მოვიდა | 110.000 ფ. პარ. | 64.476 ფ. |
| | **1911 წ.** | **1912 წ.** |
| **დაიხარჯა** | **99.000 კოლ.** | **127.000 კ.** |
| **მოვიდა** | **110.000 ფუთი** | **85.000 ფ.** |

ეგ ციფრები, როგორც ხედავთ, სახარბიელოს არაფერს იძლევა: გარდა 1910 წ., რომლის დახარჯულ კოლოფის რიცხვი არ ვიცით, ყველა წლები კოლოფების რიცხვის ზრდას აღნიშვენ; აქედან ცხადია მცხოვრებთ სურვილი ქონიათ, ყურადღება მიუქცევიათ და დრო და შრომა დაუხარჯავთ წარმოების გასაჩაღებლათ, მაგრამ მოსავალი გულის მავიწროებელ სტაციონერობას განიცდის. რითი აიხსნება ეს? რაა მიზეზი, რომ ჩვენს მეურნეს დახარჯული შრომა და დრო არ უნაზღაურდება? ჩვენს მასალებში მკაფიოთ არის აღნიშნული, რომ აბრეშუმის საქმე ჩვენში წარმობს უმთავრესათ უცხოეთიდან შემოზიდულ თესლებით, ეგ უკანასკნელნი კი **სანდო თვისებების არ არიანო.** მთავარი მიზეზი მაშასადამე ის ყოფილა, რომ წარმოებას აკლია სათანადო ღირსების თესლების მიწოდების **ორგანიზაცია,** საქმის მოწყობა.

მოყვანილ პარკის რაოდენობიდან საზღვარ გარეთ (მილანი, მარსელი) გატანილ იქმნა 1909 წელს 30 ათასი ფუთი, 1911 წელს 32 ათასი ფუთი, 1912 წ. მხოლოდ 16 ათასი. [1]) უცხოეთის ფირმებმა ისარგებლეს მითი, რომ წინა წლებში დიდი მოთხოვნილება იყო აბრეშუმის თესლისა, ელოდნენ დიდ წარმოებას, შემოიტანეს გადიდებულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ უვარგისი თესლი და მოსავალი გააფუჭეს, მაგრამ სოფლის მეურნესთან ერთად ნაზარალევი დარჩა ექსპორტერიც, რადგან მისი გატანაც კი შეუძლებელი შეიქმნა ომიანობის გამო რაც გაიტანებოდა მშვიდობიანობის დროს.

[1]) აგეთი დაცემა აიხსნება ბალკანეთის ომიანობით, რომელმაც ფრახტი საშინლათ ასწია და სამხედრო უბედურებისაგან დაზღვევა ზღაპრულ ზომამდე გააძვირა.

**შავი ქვის წარმოებას გვაჩვენებს შემდეგი ციფრები:**

| წლები. | რამდენი ფუთი დამუშავდა. | პროცენტუალური გადიდება ყოველწლიურად. | რამდენი ფუთი გაზიდეს ბათომით და ფოთით. | პროცენტუალური რაოდენობა გაზიდულისა 1904 წ. შედარებით. |
|---|---|---|---|---|
| 1908 | 6.995,000 | (ნაკლები)—$28,_{96}\%$ | 24.683,212 | (ნაკლები)—$25,_{68}\%$ |
| 1909 | 36.506,000 | მეტი (+) $424,_{88}\%$ | 35.088,672 | (მეტი) + $5,_{64}\%$ |
| 1910 | 33.805,000 | — $7,_{31}\%$ | 39.635,677 | + $19,_{33}\%$ |
| 1911 | 28.635,000 | — $15,_{29}\%$ | 37.510,747 | + $12,_{93}\%$ |
| 1912 | 35.325,000 | + $23,_{36}\%$ | 55.834,409 | + $68,_{09}\%$ |
| 1913 | 59.188,000 | + $67,_{55}\%$ | 65.827,266 | + $98,_{18}\%$ |

**წარმოების საერთო ზრდა ამ ციფრების მიხედვით უცილობელია ჭიათურის მრეწველნი განაწილდებოდენ შემდეგ სამ ჯგუფად:**

| წლები. | დამმუშავებელნი 100 ათას ფუთამ. | დამმუშავებელნი 500 ათას ფუთამ. | დამმუშავებელნი 500 ათას ფუთისა | მრეწ. რიცხვის ჯამი. |
|---|---|---|---|---|
| 1908 | 90 | 3 | 3 | 96 |
| 1909 | 73 | 142 | 7 | 222 |
| 1910 | 77 | 77 | 11 | 165 |
| 1911 | 73 | 57 | 10 | 140 |
| 1912 | 68 | 87 | 9 | 164 |
| 1913 | 113 | 126 | 21 | 260 |

საშუალო მწარმოებელთა ე. ი. 500 ათასი ფუთის დამმუშავებელთა რიცხვი საერთოდ მუდამ სჭარბობს (უმნიშვნელო გამონაკლისით 1908 წ. და 1911 წ.,) დანარჩენთა რიცხვს. გავსინჯოთ თუ რომელი ჯგუფი რა როლს ასრულებდა მთელს წარმოებაში: აღნიშნულ წლებში დაამუშავა თითეულმა ჯგუფმა:

| წლები | I ჯგუფმა | %%-ში | II ჯგუფმა | %%-ში | III ჯგუფმა | %%-ში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1908 | 1.762.000 | 25,34 | 540.000 | 7,76 | 4.653.000 | 66,90 |
| 1909 | 3.236.000 | 8,87 | 23.610.000 | 64,67 | 9.666,000 | 26 46 |
| 1910 | 5.075.000 | 15,02 | 14.920.000 | 44,13 | 13.810.000 | 40,85 |
| 1911 | 4.035,000 | 14,09 | 13.235.000 | 46.21 | 11.365.000 | 39,68 |
| 1912 | 3.331.630 | 9,43 | 19.560.170 | 55,38 | 12.433.000 | 35,19 |
| 1913 | 6.097.200 | 10,30 | 27.871.800 | 47,09 | 25,219.000 | 42,61 |

როდესაც მოყვანილ აბსოლიუტიურ ციფრებს ადარებთ ერთი-მეორეს, როდესაც დააკვირდებით პროცენტუალურ რაოდენობას მიჩნეულ წლის განმავლობაში დამუშავებულ მთელს რაოდენობასთან შედარებით, იმ დასკვნას გამოიტანთ რომ საშუალო, ე. ი. მეორე ჯგუფის მრეწველნი თავიანთი წარმოების რაოდენობით პირველ როლს თამაშობენ ჭიათურის მრეწველობაში, თუმც იგივე ციფრები ცხად ყოფენ, რომ საშუალო მრეწველთ სასტიკ მეტოქეობას უწევენ მსხვილი ე. ი. III ჯგუფის მრეწველნი, ამ უკანასკნელთ შესწევთ მეტი კაპიტალური ძალა და შემდეგში მეტი შანსები აქვთ სრული გამარჯვებისა მეტოქეობაში; ამის ცხადი მეტყველია ის რომ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში მათი წარმოების პროცენტუალური რაოდენობა საერთო ჭიათურის წარმოებასთან შედარებით ძალზე გაზდილა. საჭიროა შევადაროთ 1904—1907 წლების ციფრები უკანასკნელ ციფრებს, რომ ამაში დარწმუნდეთ. მაგრამ ჯერ საშუალო მრეწველნი კიდევ მაგრათ დგანან, კიდევ მაინც იმათ ხელშია ჭიათურის წარმოების უმთავრესი ნაწილი. რომ აგეთი ადგილი საერთო წარმოებაში საბოლოოთ შერჩეთ, საჭიროა მათი შეკავშირება, მათი დარაზმვა იმ საშინელ შედეგების თავიდან ასაცილებლათ, რომელიც მოელისთ მათ მძლავრი მეტოქეთაგან.

**ტიტე მარგველაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

იქსკიულის სიმაგრეებს გერმანელები ყუმბარებს უშენენ, ამავ ადგილებში ჰაეროპლანებიც მოქმედებენ.

—

ლონდონიდან იტყობინებიან: ესექის და კენტის საგრაფოებში ცეპელინმა ყუმბარები ჩამოყარა.

—

გერმანელებმა ორი გემი დალუპეს, ერთი ნორვეგიელებისა, მეორე ინგლისელებისა.

---

**კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებულ იქმნება სურათები: აკაკი— ქანდაკება მ. ჭიაურელისა, შინ დარჩენილთა ამარა—ალ. ციმაკურიძისა, სკოლა ტყეში და ოთხი კარიკატურა. ლექსები: დუტუ-მეგრელისა. კიკნა ფშაველასი და სხვათა. „ჭეშმარიტად“ ესკიზი ზ. ედილისა.**

---

# ახალი ამბავი

**სასახლეში.** მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგა ამერიკის სამკურნალო რაზმის უფროსი პასტორი ბექსტონი, რომელიც დარბაზობის შემდეგ საუზმეზე იქმნა მიწვეული.

**მეფის ნაცვლის გამგზავრება.** გუშინ საგანგებო მატარებლით კახეთს გაემგზავრა მათი უმაღლესობა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მეუღლით დიდი მთავარ ანასტასია ნიკოლოზის ასულით და მთელი ამალით ახტალის დასათვალიერებლად.

**ხელმწიფე იმპერატორმა** კეთილ ინება და უწმ. სინოდის მოხსენება დაამტკიცა, რათა ერევნის ეპისკოპოსი ლეონტი ორენბურგის ეპარქიის პირველ ქორეპისკოპოსად დაინიშნოს, კიშინიოვის სასულიერო სემინარიის რექტორი არქ. დომიანე, ერევნის ეპისკოპოსად და მესამე ქორეპისკოპოსად, მესამე ქორეპისკოპოსი ანტონი მეორედ, ხოლო მეოთხე ეპისკ. პიროსი ალავერდელი—მესამედ.

**გაემგზავრა ბათომს** გორის ეპ. ანტონი სინოდალურ კანტორის პროკურორ ბ. პოპოვთან ერთად.

**ტფილისში ჩამოვიდა** პეტროგრადიდან ცნობილი ვექილი დ. ზ. ჭიაბრიშვილი, რომელიც აჭარელთ დაიცავს მომავალ პროცესში.

**სკოლის დათვალიერება.** ოზურგეთის საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება და ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები 13 აპრილს სოფ. აჭში გაემგზავრნენ ქართველ მაჰმადიანთა სკოლის დასათვალიერებლად.

**კრების გადადება.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება 14 ამა თვეს არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

**ქალაქის წყალი.** ქალაქის საბჭოს საგანგებო კომისია დღეს გაემგზავრება სოფ. ჟინვალში იქაურ წყაროების დასათვალიერებლად, საიდანაც ქალაქის თვითმმართველობა მილით წყლის გამოყვანას აპირობს.

**სანერგეები.** მიწად-მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულის განკარგულებით ახალი სანერგეები საწამლებელ მცენარეულობისა არსდება ბათომის საბოტანიკო ბაღთან, ოზურგეთის საცდელ პლანტაციასთან და ბაკურიანის საბოტანიკო ბაღის განყოფილებასთან.

**ჰანების მდგომარეობა.** ბ-ნი ალ. მამულაიშვილი ატყობინებს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომ სოხუმში ბევრი ჰანები (ლაზები) არიან შემოხიზნული. მათ შორის ბევრი მცირე წლოვანი ბავშვი, უპატრონო დედაკაცი და მოხუცი, რომელნიც უკიდურეს ქონებრივ გაჭირვებას განიცდიანო. საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა ფიქრობს დახმარება აღმოუჩინოს ამ გაჭირვებულ ხალხს.

**ცეცხლის გაჩენა.** გუშინ დილის 10 საათზე პატარა სირაჯხანაში დიდი ცეცხლი გაუჩნდა ქ-ნ აფრიამოვის სახლ. ცეცხლი ტერ-გრიქუროვის სანთლის საწყობიდან გადავიდა. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ცეცხლი მალე ჩააქრო, მაგრამ მაინც ცეცხლმა რამდენიმე დუქანი იმსხვერპლა.

**აჭარელთა გასამართლება.** ამ თვის 26-ში ბათომში დაიწყება გარჩევა 116 კაც აჭარლისა. მათ დასაცავათ და საქმის გასაცნობათ ბათომს გაემგზავრნენ თბილისიდან ნაფიცი ვექილნი ი. მაჭავარიანი, ი. კაჩუხოვი, ნ. ქარციძე, ი. ჯაფარიძე, ქუთაისიდან ჩავლენ ნაფიცი ვექილნი ე. გეგეჭკორი, გ. გიორგაძე და ალ. საყვარელიძე, ხოლო თვით ბათომში დამცველებად გამოდიან გ. ანჯაფარიძე და ბ. მუატი.

**წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების მთავარი გამგეობა სამშაბათს, 19 ამ თვეს, განიხილავს საზოგადოების განყოფილებათა მოხსენებებს საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**საერობო საკითხი.** დღეს, 16 აპრილს, საღამოს 8 საათზე, გაიმართება შეერთებული კრება ქართულ და სომხურ კავკასიის, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა და სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სამელიორაციო განყოფილებისა. კრებამ უნდა განიხილოს ბ-ნ მათეევის მოხსენება შემდეგი სათაურით: „საწყლო კანონი და კავკასიის ერობა“ და სხვა მორიგი საკითხები.

**თელავის საზოგადო ბიბლიოთეკის** სასარგებლოდ თბილისის გუბერნატორმა ნება დართო 23 აპრილს ქართულსა და რუსულ ენაზე წარმოდგენის გამართვისა.

**ბოსტნეულის გახმობა.** თბილისის საბალონო სკოლას 29 ოქტომბრიდან 400 ფუთზე მეტი ბოსტნეული გაუხმიათ ომის საჭიროებისათვის. სახმობში ამ ჟამად 24 საბალონო სკოლის მოწაფე მუშაობს და 10 მუშა.

**გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 14 აპრილს ქალაქის საავადმყოფოში მოთავსებული იყვნენ: ქუნთრუშით 122, ხუნაგიანი 9, სახადიანი 92, მუცელათი 1 და გამოურკვეველი სენით 3 კაცი.

**მეღვინეობა-მევენახეობის კომიტეტმა** 14 აპრილს დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა კომიტეტისა 1916—1917 წ. წ. ამ ხარჯთაღრიცხვით დაიხარჯება: 1) კომიტეტის სპეციალისტებზე მიმდინარე წლის განმავლობაში მიწადმოქმედების დეპარტამენტის თანხიდან 11.400 მ. საერობო თანხიდან 2.800 მ. ამავე საგანზე 1917 წ. მიწადმოქმედების დეპარტამენტის თანხიდან 13.300 მან., საერობო თანხიდან 1.800 მან., 2) საოპერაციო ხარჯები, რომელთაც დამოკიდებულება აქვსთ აღნიშნულ სპეციალისტთა მოქმედებასთან, 1916 წელს დეპარტამენტის თანხიდან 700 მან., საერობო თანხიდან 1.850 მან., ამავე საგანზე 1917 წელს დეპარტამენტის თანხიდან 2.775 მან., საერობო თანხიდან 3.000 მან., 3) ამერიკულ ვაზის სანერგეებზე 1916 წელს დეპარტამენტის თანხიდან 17,082 მ., საერობო თანხიდან 5,240 მან., ამავე საგანზე 1917 წელს დეპარტამენტის თანხიდან 23,295 მან., საერობო თანხიდან 5,500 მან., 4) ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად დეპარტამენტის თანხიდან 1916 წ. 16.100 მან. 1917 წ. 27.300 მან. 5) კომიტეტის კანცელარიის შენახვა დეპარტამენტის თანხიდან 1916 წ. 1.500 მან. და 1917 წ. 2.000 მან.

**სიღნაღი.**

კვირას, 17 აპრილს, დანიშნულია წლიური კრება წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სიღნაღის განყოფილებისა. განსახილველია წლიური ანგარიში და მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა. თუ ვინიცობაა კრება არ შესდგა, მეორე და უკანასკნელი კრება მოხდება კვირას, 24 აპრილს.

**გორი.**

**მკვლელობა.** აღდგომა დღეს ქ. გორში სამეფო ქუჩაზე, ჩხუბში ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა ხიდისთავში მცხოვრები კოტე ამბრიაშვილი ღირსება ახდილმა ფავლენიშვილმა. ამბრიაშვილი რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. ფავლენიშვილი შეიპყრეს. იგი ამ რამდენიმე ხნის წინ გაუნთავისუფლებიათ გამასწორებელი რაზმიდგან, სადაც მკვლელობისთვის ყოფილა გაგზავნილი.

— **ფულის დარიგება.** ატენის ხეობის წყალდიდობისაგან დაზარალებულებს გორის საქველმოქმედო საზოგადოებამ 200 მანეთი დაურიგა.

— **ქურდების შეპყრობა.** ამ ორ თვის განმავლობაში გორის მაზრაში რამდენიმე საყდარი გატეხეს და წაიღეს სხვა და სხვა ვერცხლეულობა. ბოქაულმა ა. მაისურაძემ ქურდები შეიპყრო. იგინი ლეკები აღმოჩნდნენ რომლებიც თურმე წინარევ ვერცხლს პრაპორჩიკების ხმლებს უკეთებდნენ. მათ რამდენიმე ნაპარევი ნივთი ამოაჩნდათ და ქურდობაში გამოტყდნენ.

---

# კულტურულ საზოგადოეთა კავშ. არჩევ. გარშემო

ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირს გაზეთი „საქართველო“ თავიდანვე წმინდა კულტურულ და არა პოლიტიკურ საქმედ სთვლიდა და ამ კავშირის შექმნის ისტორია ნათლად მოწმობს, რომ გაზეთს „საქართველო“-ს მასში არავითარი პარტიული სული და ქიშპობა არ შეუტანია. თბილისის საზოგადოებათა არჩევნებში „საქართველო“-ს თავისი კანდიდატები სრულებითაც არ წამოუყენებია და სადაც მას სავსებით თავის მიმდევრების გაყვანა შეეძლო, სხვა ჯგუფის წარმომადგენლებიც ამოირჩიეს. ისიც აღსანიშნავია, რომ თბილისში არც ერთ სხვა ჯგუფს არ გაუმწვავებია საქმე ისე, როგორც ქუთაისში, სადაც იქაურმა სოციალისტ-ფედერალისტებმა პარტიული შეურიგებლობა და ქიშპობა უკიდურესობამდის მიიყვანეს და ბევრს არა საკადრის საშვალებასაც მიჰმართეს, რომ მხოლოდ თავისი კანდიდატები გაეყვანათ.

რაც შეეხება კერძოდ კულტურულ კავშირის გამგეობის არჩევნებს, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით „სახალხო ფურცელს“, რომ ჩვენმა ჯგუფმა არჩევნებში „არევ დარევა“ გამოიწვია და მით „დაარღვია მწყობრი მსვლელობა არჩევნების“, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჩვენმა თანამოაზრეებმა არჩევნების დროს პარტიული კანდიდატების წამოყენებაზედ უარი განაცხადეს. ეს გარემოება იმან გამოიწვია, რომ ამ არჩევნებისთვის „საქართველოს“ ჯგუფს არც ერთ სხვა მიმართულებას არამც თუ არ შეთანხმებია, არამედ მათთან უბრალო მოლაპარაკებაც კი არ ჰქონია. ჩვენს ჯგუფს არ შეუმუშავებია თავისი კანდიდატების სია და თვითონ საარჩევნო კრებაზედაც რედაქციამ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, მხოლოდ იმისთვის, რომ ის ჩვენის გაზეთის სახელით მისალმებოდა ქართულ კულტურულ საქმეს. და როდესაც ჩვენ თანამოაზრეებს მოსთხოვეს ორი კანდიდატის დასახელება, მათ სრულიად სამართლიანად წამოაყენეს ისეთი პიროვნების კანდიდატურა, რომელიც სხვა ჯგუფების სიაში არ იყო დასახელებული. ეს იყო ექვთიმე თაყაიშვილი და მის კანდიდატურას მისი დამსახელებელნი უყურებდნენ არა როგორც „საქართველოს“ ჯგუფის კანდიდატს, არამედ როგორც ღირსეულს და დამსახურებულს წარმომადგენელს სრულიად საქართველოის კულტურულ საქმიანობისას. მეორე ადგილი, ჩვენი ჯგუფისთვის მიკუთვნებული თავისუფალი დარჩა და ამ ადგილზედ დასახელებული იქმნა ალ. ყიფშიძე, დ. ჩოლოყაშვილი და სხვ., რომელთათვის ყუთი არ დადგმულა და პ. გოთუა, რომელიც ამორჩეული იქმნა. ეს უკანასკნელი კი თავის თავს, სრულიად სამართლიანად, ჩვენი ჯგუფის არც დასახელებულად და არც არჩეულად არ სთვლის. ამგვარად, გაზეთმა „საქართველომ“ კულტურულ კავშირის არჩევნებში სავსებით შეინარჩუნა თავიდანვე არჩეული პოზიცია და ასეთს არა პარტიულ პოლიტიკას ყოველგვარ წმინდა კულტურულ საქმეში ის მომავალშიაც აწარმოებს.

---

# თავად კიტა აბაშიძეს

პრესაში აღნიშნული იყო და ეს ჩვენმა ქუთაისელმა თანამოაზრეებმაც გვაცნობეს, რომ თქვენ ქუთაისის კულტურულ საზოგადოების ერთ-ერთ საჯარო კრებაზე განგიცხადებიათ, ვითომც გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში მომხდარიყოს შეთანხმება დასელებისა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის, რათა ქართულ კულტურულ კავშირში მხოლოდ ამ ორი მიმართულების კანდიდატები გაეყვანათ და ყველა სოციალისტ-ფედერალისტები გაეშავებინათ. თქვენ ვითომ კიდეც გინახავთ საკუთარი თვალით ამ შეთანხმების დროს შემუშავებული სია კანდიდატებისა, რომელშიაც ფედერალისტები არ შედიოდნენ. წინადადებას გაძლევთ პრესის საშუალებით უარყოთ ეს ცნობა, ან და გაზეთის ფურცლებზედ გაიმეოროთ საჯარო კრებაზედ წარმოთქმული სიტყვები.

**„საქართველოს“ რედაქცია**

---

# სოხუმის ეპარქიის საკითხი

სოხუმის ეპარქიის გამოყოფის საკითხი, რომელიც „საქართველომ“ აღძრა ამ ახლო წარსულში, ახლა რუსეთის სატახტო გაზეთებშიც საკამათო საგნად გახდარა. აი, სხვათა შორის „პეტროგრადსკია ვედომოსტის“ ფურცლებზე რასა სწერს **ნ. დურნოვო:**

„ქართულსა და რაოდენიმე რუსულ პრესაში ხშირია კამათი სოხუმის ეპარქიის შესახებ, რომელმაც 30 წლის განმავლობაში ათი ეპისკოპოსი გამოიცვალა და შეწუხების მეტი არავითარი სასიკეთო არ მოუტანია მართმადიდებელი ეკლესიისთვის. მხოლოდ ორი ეპისკოპოსი, კირიონი (ეხლანდელი ეპისკოპოსი პოცკისა) და ანდრია (უფიმის ეხლანდელი ეპისკოპოსი) აგზნებულ ლამპარად მოევლინენ შეწუხებულს ეპარქიას, მაგრამ მალევე მოაშორეს, როგორც „არაპოლიტიკური მოქმედი“ ხალხი. ეს ეპარქია მეტად პატარაა სამწყსოთი, სულ 125 ათასი იქნება ორივე სქესისა. 1886 წელს 20 ათასამდე დაჰკარგა ამ ეპარქიამ. ეს ნაწილი სამაჰმადიანოს შეუერთდა“.

სოხუმის ეპარქია დაარსებულია არა მართმადიდებლობის გასავრცელებლად, არამედ მცხოვრებთა გასარუსებლად. იგი სამი ნაწილისაგან შესდგება: ა) ქართლისა, სამურზაყანო და გუდაუთის ნაწილით, სადაც 50 ათასამდე მეგრელი და 400 აფხაზი იქნება; ბ) კოდორისა და გუმისტანის ნაწილისაგან, საითაც მეტი წილი მაჰმადიან-აფხაზები არიან, და გ) შავი ზღვის სანაპირო, ქ. ანაპითურთ, სადაც ოცამდე რუსის სამწყსოა.

საეპარქიო სოხუმში, სადაც მეტი ქართველობაა ვიდრე რუსები და სადაც ათასზე მეტი ბერძენი მცხოვრებია, ხოლო მართლმადიდებელ აფხაზობას ნაკლებ შეხვდებით, წირვა-ლოცვა მხოლოდ სლავიანურს ენაზე ხდება. სოხუმის ეპარქიის გამოწირვა და რუსულ „მთავრობისეულს“ შემადგენლობაში შეტანა ნიშნავს უწმინდეს კანონის დარღვევას, ვინაიდან სოხუმის ოლქი ჯერ კიდევ მეათე საუკუნიდან აფხაზეთის საკათალიკოსოში შედიოდა, ხოლო 1657 წლიდან, კათედრა იგი გადატანილი იქმნა გელათში, როგორც იმერეთის საკათალიკოსოს ნაწილი. ქართული ეკლესია, რომელიც დღეს ორს საკათალიკოსოსაგან შესდგება, ივერიისა და იმერეთისა, მართლმადიდებელ, ეკლესიის განუკვეთელს ნაწილს შეადგენს და არა რუსის ეკლესიის ნაწილს. თავის ეკლესიის ღირსებას თვით ქართველები იცავდნენ და სამაგალითოდაც შეუძლიათ დაიცვან იგი. ამიტომ ეხლავე უნდა მოსთხოვონ უმაღლეს ეკლესიის მთავრობას, რომ მეგრელებით დასახლებული სამურზაყანო და გუდაუთის ნაწილი დაუბრუნდეს სამეგრელოს ეპარქიას...

დიდად სამწუხაროა, რომ იმ დროს, როდესაც მთელი ქართველობის ამდენი სისხლი იღვრება, როდესაც მთელი ქართველობა სიმამაცის სასწაულებს სჩადის, ჩვენს „მმართველობის“ სფეროში არქივებიდან ამოაქვთ მამა ვოსტოროგოვთა პროექტი სოხუმის ეპარქიის შესახებ, ხოლო თვით სოხუმის ეპისკოპოზი სერგეი პეტროვი ესოდენ სიყვარულს არ აცხადებს ივერიის ეკლესიის შვილთადმი“.

სოხუმის ოლქის დანარჩენ ორ ადგილას, სადაც მოსახლეობა აფხაზელები და ქართველებია, შესაძლოა საკუთარ ეპარქიის დაარსება, როგორც ვიკარია იმერეთის ან კიდევ სამეგრელოს ეპარქიისა, რომლის ეპისკოპოსმაც აფხაზური ენა უნდა იცოდეს, შავი ზღვის გუბერნიის ადგილები კი ეკატერინოდარის ეპარქიის დაარსებამდე ეისკის ეპისკოპოზს უნდა დაექვემდებაროს, რომელიც ეკატერინოდარში იმყოფება.

---

# ქართ. კულტურულ საზ. კავშირი

ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარემ გენერალმა გ. ნ. ყაზბეგმა შემდეგი შინაარსის დეპეშები დაგზავნა:

1) პეტროგრადი. ტავრიდის სასახლე, სახელმწიფო სათათბიროს წევრს ე. პ. კავალევსკის.

31 ქართულ კულტურულ განმანათლებელ საზოგადოების საერთო კრება ღრმა მწუხარებას აცხადებს მაქსიმე მაქსიმეს ძის კავალევსკის დაკარგვის გამო, რომელიც მედგარი მოსარჩლე და მასწავლებელი იყო ახალი თაობისა, მცოდნე მკვლევარი კავკასიის ზნეჩვეულების და დაუღალავი მუშაკი რუსეთის კულტურულად განვითარებისათვის საფუძვლის გამაგრებისა.

2) მოსკოვი, თავ. სუმბათაშვილ-იუჟინს.

გუშინ შესდგა პირველი კრება საქართველოს კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირისა. ღრმად გვწამს-რა მერმისი, თამამად ვიყურებით წინ და დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ თუმცა დაშორებული ხართ სამშობლოს, მაგრამ „კავშირთან“ შეთანხმებით იმუშავებთ. სალამი მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს.

3) აქ (თბილისში), წითელი ჯვრის მთავარ რწმუნებულს.

31 ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულების კავშირის საზოგადო კრებამ ერთხმად დაადგინა, გამოსთქვას თავისი უღრმესი აღშფოთება მტრის წყალქვეშა ნავის საზიზღარ მოქმედების გამო, რომელსაც შედეგად მოჰყვა „პორტუგალის“ დალუპვა, და სთხოვს თქვენს აღმატებულებას იყვეთ გამომხატველი მისი ღრმა პატივისცემისა სამსახურის ასრულების დროს დაღუპულ მოღვაწეთადმი ხსოვნისა.

---

# ჩემი პროტესტი

„ბატონებო! ქრისტე აღსდგა!“—აი პირველი სიტყვა, რომლითაც თორმეტ აპრილს კულტურულ საზოგადოებათა კავშირის მონაწილეთა კრებას მიჰმართა ღრმად პატივცემულმა გ. ნ. ყაზბეგმა.

გულმა სიამით იფეთქა ამ სიტყვის გაგონებაზე. და ეს იმიტომ კი არა, რომ ეს სიტყვა ახალი იყო ჩვენის სმენისათვის; არა აქ სხვა, უფრო ღრმა განცდას ჰქონდა ადგილი... ამ დღეს ჩვენ პირველად ვიხილეთ ქართული „პარლამენტი“, ქართველ მოაზროვნეთა პირველი კრება, სადაც ერთ მესამედს მაინც ქალები შეადგენდნენ.

ქრისტე აღსდგა—იმეორებდა გრძნობა და ოცნების ფრთები სიამით მიმაქანებდა იმ სანეტარო დროსაკენ, როცა ყოველი ჩვენგანი საერთო ძალით შევუდგებოდით ერის დიდებულ მომავალისათვის შრომას...

მაგრამ ჩემს ალტაცებას მალე ფრთა შეაკვეცა სამწუხარო სინამდვილემ: კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრებამ საჭიროდ არ სცნო [illegible] შვიდს წევრსა და სამ კანდიდატში ერთი ქალი მაინც მოეყოლოდა.

ეს შემთხვევითი და პირველი მოვლენა როდია! ქართველთა უხუცესმა საზოგადო დაწესებულებამ,—წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ—მხოლოდ ამ ბოლო დროს აირჩია გამგეობის წევრად ერთი ქალი, ისიც დიდის ყოყმანის შემდეგ; ჰყავდა ოდესმე არჩეული კანდიდატი ქალი, პასუხის საგები ადგილი კი ქალს არ არგუნა. როცა შრომა და ფულის მოგროვებაა საჭირო, ქალებს მიჰმართვენ, როცა ქალს რაიმე ხმის უფლება ენიჭება, აქ ქალი დავიწყებულია, ან მკრთალად ნახსენები, როგორც ეს თორმეტი აპრილის კრებაზე მოხდა.

ქართველ ქალებს საქმიანობის არც ერთს დარგში მამაკაცებზე მეტი თუ არა ნაკლები უნარი არ გამოუჩენიათ, მაგრამ კულტურულ საზოგადოებათა კავშირის კრებამ ვერ გამოიჩინა კულტუროსნობა და ღირსეული ადგილი ვერ მიუჩინა ქართველს ქალს, რომელსაც ჩვენი წინაპრები უფრო მაღლა აყენებდნენ. მეოცე საუკუნის ქართველი მამაკაცი სირცხვილის ალმურმა უნდა დასწვას მეთორმეტე საუკუნის მამაკაცის ხსენების დროს, თუ თანამედროვე ქართველს მამაკაცს სირცხვილის ნატამალი-ღა შერჩენია.

ჩვენ მოწყალებას არა ვთხოვთ არავის, მხოლოდ ახსოვდეთ, რომ ქართველი ქალები უპროტესტოთ ვერ შეხვდებიან მამაკაცთა ასეთს ქედმაღლობას, რომელიც ბევრს გვაძლევს და არაფრის უფლებას კი არ გვაძლევს.

უუფლებო მოვალეობის ხანა წარსულს ეკუთვნის. *)

**განდეგილი.**

---

# ეკონომიური ცხოვრება

## კიდევ შაბიამან-გოგირდი

ადვილი ასახსნელია, თუ რატომ არის აღელვებული, ნამეტნავად უკანასკნელ ხანებში, მთელი ქართველი საზოგადოება და პრესა შაბიამან-გოგირდის გარშემო ამტყდარ ამბებით. ქვეყანა, რომლის ერთ უდიდეს ეკონომიურ ძარღვს წარმოადგენს მევენახეობა, რომლითაც სცხოვრობს მთელი კახეთი და თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია,—დღეს უმწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი არა იმდენად ომის მეოხებით, რამდენადაც ზოგიერთა ვაჟბატონების უკაცობით, უნიათობით და ზოგის კიდევ პირდაპირი თაღლითობითა და ბოროტმოქმედებით. ყველამ იცის, თუ რა რიხით და ზეიმით გამოაცხადა „მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა“, რომ შაბიამან-გოგირდის შემოტანა საზღვარ-გარეთიდან მინდობილი აქვს მარტოოდენ ბ-ნ ფრიდონოვს და განაწილება დაეკისრა კომიტეტს, რომელიც ადებს ფასს და აწესებს ზომასაც, თუ ვის რამდენი უნდა მიეცესო. ყველას ახსოვს, თუ, ბ-ნი **ვ. ი. რცხილაძე**, მდივანი ქართულ-სამეურნეო საზოგადოებისა და იმავე დროს მდივანი დასახელებულ კომიტეტისა, როგორ ამშვიდებდა და არწმუნებდა ყველას ვენახის წამლის საქმე კარგად არისო. ყველას ახსოვს, თუ ბ-ნი ს. ი. ხუნდაძე, ყოფილი და აწ დაწუნებული ხმოსანი ქალაქის თვითმართველობისა და „ერთგული დარაჯი“ ქართული ინტერესებისა და ნამდვილად კი პირში შემყურე თავის „ხაზეინ“ ფრიდონოვისა, როგორი იმედებით ჰკვებავდა საზოგადოებას, კოოპერატივებს თუ კერძო პირებს, ყველას ახსოვს თუ თვითონ ბ-ნი **ფრიდონოვი**, ეს შაბიამან-გოგირდით გასუქებული ჩარჩი, როგორი მონოპოლისტური სიმტკიცით და ზვიადობით **ჰკრეფდა ფულებს, იღებდა დაკვეთას და არწმუნებდა ხალხს: თავის დროზედ ყველაფერი იქნებაო,** მერე: შამპანიურზე და „საპნის წასმაზედ“ ბევრი მეხარჯებაო; მერე: ძალლებით უნდა გადმოვიტანო გზაში გაყინული წამლეულობაო და სხვა და სხვა ლათაიები. ეს ყველაფერი ყველას ახსოვს და ეს ხსოვნა იმათ, ვისაც სჭირდება წამლეულობა ვენახისა, აქამდის **ფულად ულირდათ**, იმ ფულად, რომელიც ბ-ნმა ფრიდონოვმა ბოროტად გამოიყენა თავის და სასარგებლოდ და ამის შემდეგ მთელი შემოსავლის და შეიძლება ვენახის ამოგდებადაც დაუჯდეთ. ამიტომ ღელავს მევენახე, ამიტომ აღშფოთებულია საზოგადოება. „მევენახეების კომიტეტმა“, როგორც კომპეტენტურმა დაწესებულებამ, შეცდომაში შეიყვანა ხალხი და მისმა ქართველმა მდივანმა, ბ-ნმა რცხილაძემ იმდენი წინდახედულება ვერ გამოიჩინა, რომ თავ-თავის დროზედ, საზოგადოებისათვის ეცნობებინა ხოლმე ამ დიდი და სერიოზული საქმის მსვლელობა, რაიც კერძო ინიციატივას მაინც მისცემდა გასაქანსა. საკვირველი არ არის, რომ ჩარჩი ფრიდონოვი ყოველ ხრიკებსა ხმარობს, რომ კომიტეტიც მოატყუოს და ხალხიც გაძარცვოს.—ამას მისი ჩარჩული ბუნება მოითხოვს, ამის საწინააღმდეგოდ სასამართლო და სხვა უფრო სასტიკი ზომებია მისაღები, მაგრამ რას ფიქრობს „კომიტეტი“, რომელმაც ასეთ აუტანელ მდგომარეობამდე მიიყვანა ხალხი?

ბ-ნი ფრიდონოვი ახლა თავს იმით მართლულობს, რომ სამინისტრო **აღარ აძლევს** ვაგონებს წამლეულობის ჩამოსატანად; მაგრამ ეს თავის გამართლება ყოვლად უაზროა. ჯერ ერთი, ბ-ნი ფრიდონოვი ისეთი „გამოცდილი“ ვაჭარია, რომ „შამპანიურებით და საპნის წასმით“ სამინისტროსი თუ არა, კერძო ვაგონებს იშოვიდა, როგორც სხვები შოულობენ და მეორეც —საიდუმლოებით და სიცრუით რომ არ შეემოსა ეს საქმე, ათასი საზოგადოება და წარჩინებული პირი დაეხმარებოდა ჩამოტანაში. ამის გარდა, რაც უმთავრესია, აუცილებელი ცნობა და ფაქტია, რომ ფრიდონოვს **ჩამოუტანია** წამლეულობა, მაგრამ კომიტეტის და საზოგადოების ყურადღებისათვის გაუპარებია და კერძოდა ჰყიდის, როგორც თბილისში, ისე ბაქოში და სხვაგან. აი ეს უკანასკნელი სიბოროტე უნდა აილაგმოს ყოველგვარი წესით, თუნდაც რეკვიზიციით, რადგან შაბიამან-გოგირდი ისეთივე საარსებო საგნებია, როგორც ქერი და პური.

უკანასკნელ დროს არა ერთი ცნობა დაიბეჭდა გაზეთებში, რომ ფრიდონოვს მიუყიდნია, მაგ., ანანოვისათვის ათასამდე ფუთი შაბიამანი, რომლის საშუალებით ეს მეორე ჩარჩი ეხლავე იბევებს თურმე ქუთაისის გუბერნიაში ვენახის შემოსავალს. გაჭირვებული მევენახეც, რომელიც მოატყუა ფრიდონოვმა და კომიტეტმა

---

*) ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომერში მოთავსებული იყო ასეთივე შინაარსის წერილი თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობის წევრის ქ-ნი ჭიჭინაძისა. ჩვენ უცვლელად ვბეჭდავთ ამ წერილებს, თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ პატივცემულ ავტორთა გულისწყრომა სავსებით სამართლიანი არ არის. და სამწუხარო გაუგებრობაზე არის აგებული. ქართველ ქალთა მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ასპარეზზედ ცნობილია ძველთაგან და მათს საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულს ღვაწლს ეროვნულს ცხოვრებაში ვერც ერთი ჩვენში მომქმედი მიმართულება ვერ უარყოფს.

**რედ.**

თვისი დაპირებით, იძულებულია გაება ანანოვ-ფრიდონოვების ქსელში.

დღევანდელ ჩვენს ნომერში იბეჭდება ცნობები, თუ რა ფასებში იყიდება შაბიამან-გოგირდი კერძო ვაჭრებისაგან—ცნობილ სარიევისა და ბაჩიევისაგან, რომელნიც მუდმივი კლიენტები იყვნენ და არიან იმავ ფრიდონოვისა. ჩვენ თვითონა გვაქვს ხელთა ცნობები, რომ ფრიდონოვს კერძო პირებზედა აქვს გაყიდული წამლეულობა და ჩვენს პრესაში არა ერთხელ იყო აღნიშნული მრავალი ასეთი ოინები ფრიდონოვისა. კერძო ცნობები მოგვდის, რომ ფრიდონოვის წარმომადგენელი ბ-ნი ნუბაროვი ჰყიდის შაბიამან-გოგირდს ბაქოსა და სხვა ქალაქებში და ამავე „საქმეს“ ემსახურება ბ-ნი ხუნდაძეც. ამავე დროს ვრცელდება ხმები, დაფრინავენ ათასი აგენტები და გაიძვერები, რომელნიც განგებ ჰქსაქსავენ შეშინებულ მყიდველებს და ჰქმნიან ისეთ ატმოსფერას, საცა ყოველგვარი სპეკულიაცია და თაღლითობა ხეირობს. ეს საგანგებოდ შექმნილი ატმოსფერაა, რადგან თანდათან აშკარავდება, რომ წამლეულობა, ბოლოს და ბოლოს არის და ყველა, ვისაც შეძლება აქვს ტყავი გაიძროს და 5—6 თუმანი მისცეს ფუთში 5—6 მანეთის მაგიერ,—ყიდულობს კიდეც. უაღრესი ბოროტება სწორედ აქ აშკარავდება და მთავრობა მოვალეა ამგვარ ძარცვას ისეთივე ყურადღება მიაქციოს და ლაგამი ამოსდოს, როგორც შეიარაღებულ ძარცვას შარა გზაზე, ვინაიდან არსებითად განსხვავება დიდი არ არის ამ ორ მოვლენათა შორის.

მეურნე.

## შაბიამანი

თუმცა ბევრი დაიწერა ამ ჩვენი ცხოვრების პირველ საჭიროების საგანზედ, მაგრამ რას ვიზამთ როდესაც სადღეისო საკითხად მხოლოდ იგი გვაქვს გამხდარი.

პატივცემულნი ავტორნი ჰკიცხავენ მოქმედებას ბ-ნ ფრიდონოვისას, რომელიც, პირადად მე ზედ-მეტად მიმაჩნია, რადგანაც ჩვენთვის წინადვე ცხადია სულისკვეთება ბ-ნ ფრიდონოვისა, მე მსურს ამ ჩემის წერილით ულრმესი საყვედური გამოვუცხადო თბ. გუბერნ. მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს, რომელიც ამ საქმეში ნამეტანი სუსტი გამოდგა და რომელმაც სრულიად ვერ გაამართლა ჩვენი იმედი.

ჩვენ დავრჩით მოტყუებულნი, მომტყუებელი კი მხოლოდ მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტია. შეიძლება მითხრან, ისინი კიდევ ბ. ფრიდონოვმა მოატყუაო. ეს ვერ გაამართლებთ მათ. ასეთს ოფიციალ დაწესებულებას შეეძლო ისე დაეჭირა საქმე, რომ ასეთი საქმე არ ჩაედინა ბ. ფრიდონოვს.

აი მაგალითიც: მივიღე „ორდერი“ კომიტეტისაგან, როგორც რწმუნებულმა ვეჯინის სოფ. საზოგადოებისამ, და გავემართე ბ. ფრიდონოვის სავაჭრო სახლისაკენ დიდის იმედით, წარვუდგინე „ორდერი“ რწმუნებულების ქაღალდთან ერთად. ეს გახლდათ თებერვლის პირველ რიცხვებში. ეს მაშინ, როდესაც ბ. ფრიდონოვმა თვალების ასახვევად, რამდენიმე ფუთი უწყალობა რამდენიმე სოფლის ამხანაგობას. დახედა ორდერს ბ. გამგემ და ღიმილით მიპასუხა, „შაბიამანი არა გვაქვს და ვერ მოგცემთო“. მაშ რას ნიშნავს ეს ფურცელი მეთქი. ვკითხე გაკვირვებულმა, „ეგ „ორდერი“ გალესე და დაასხი ვაზებს, იქნება არგოს რამეო. ნეტავ იმდენი შაბიამანი გვქონდეს, ვისგანაც ჩვენ კანტორას ჯერ კიდევ წასულ წელში მიუღია ფული ისინი დავაკმაყოფილოთო. და თქვენ და თქვენისთანებს რომ შაბიამანი გდომებიათ, ეს ჩვენ პირველად გვესმის, თბ. მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა ერთხელ მაინც რატომ არ მოისურვა წერილობით ან რითიმე შეეტყობინებინათ ჩვენთვის, რამდენი შაბიამანი ჰქონდა მათგან დაკვეთილიო“. მე ვხედავდი ბ-ნი გამგე ფრიდონოვისა რამდენიმეს აძლევდა თითო ოროლა ფუთს ორდერებით, მაგრამ ამას უფრო ან ნაცნობური ან კიდევ ჩასაჩუმებელი ხასიათი ჰქონდა.

ბევრმა მიმართა კომიტეტს საჩივრით და უთხრა, რისთვის იწუხებდნენ თავს, რად სწერდნენ ასე ფართი-ფურთით. თუკი მხოლოდ სასაცილო იქნებოდა, მათაც პირველ ხანებში ვითომ რაღაც საპროტესტო ტელეგრამები აფრინეს სამინისტროში, და ელოდნენ დამაკმაყოფილებელ პასუხს, მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ ძლიერებას ბ. ფრიდონოვისას. და ერთხელაც არ მოისურვეს პრესის საშუალებით ეცნობებინათ საზოგადოებისათვის საქმის ნამდვილი ვითარება, რაც დღესაც მოუთმენლად ველით მათგან.

აი ასეთი მზრუნველობა გაგვიწია მევენახეთ, მევენახეობა-მეღვინეობის თბ. საგუბერნიო კომიტეტმა.

სოსო ჩიტოშვილი.

## შაბიამანის გარშემო

თბილისის გუბერნატორს ბაგრატ არუთინას ძე თოროზოვმა საჩივარი მისცა ვაჭარ ხერგო სარიევზე და მის შვილზე. (ვაჭრობენ რიყის ქუჩაზე). მათ თურმე აქვთ გოგირდი და შაბიამანი, რომელსაც არსებულ ნიხრზე ძვირად ჰყიდიან სახელდობრ ფუთს 40 მანეთად, მაშინ როდესაც ნიხრით ფუთი 15 მ. 90 კ. ღირს.

ბ-ნი თოროზოვი შემდეგ პირთ ასახელებს, ვისთვისაც სარიევებს მიუყიდნიათ შაბიამანი და გოგირდი 40 მან.

1) ფირო მამისოვს უყიდნია 30 ფუთი შაბიამანი 35 მანეთათ, ხოლო გოგირდი 40 მ. ფუთი. ამასთანავე თითო ბოჭკა შაბიამანს ჰკლებია 3 ფუთი (12 ფუთი ყოფილა 15 ფუთის მაგიერ). მამისოვი ველისციხელია (სიღ. მაზრა).

2) კარაპეტა აკოლაშვილს უყიდნია 12 ფუთი გოგირდი ფუთი 40 მან. (ველისციხელია).

3) გიორგი მაზანოვს (ურიათუბნელია, თელავის მაზრა) უყიდნია 12 ფუთი გოგირდი, ფუთი 40 მან.

4) დავით შალიაშვილს (კარდანახელია, სიღ. მაზრა) უყიდნია 120 ფუთი გოგირდი ფუთი 35 მანეთად და 160 ფუთი შაბიამანი ფუთი 35 მან.

## წერილი საინგილოდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

(დასასრული)

აი ეხლაც შარშანდელი წლით დაწიოკებულმა მცხოვრებლებმა ითხოვეს მთავრობისაგან დახმარება, მაგრამ მათ მხოლოდ ფიჩხი და სხვა მასალა დაუთმეს მუქთად მახლობელ სახელმწიფო ტყიდგან ბენდის გასაკეთებლად. რასაკვირველია განმეორდება ჩვეულებრივი ისტორია, გლეხკაცები მთავრობისაგან დათმობილს ორმოც დესეტინა ტყეს სულ ერთიანად გაამხრებენ ბენდის გასაკეთებლად, მაგრამ ამით საქმეს არსებითად არაფერი ეშველება, მოვარდება მდინარე და ძველებურად მოჰგლეჯავს ყოველივეს და თან წაიღებს ბენდსაც. ამიტომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ უფრო რადიკალური ზომები იყვეს მიღებული და არა ისეთი პალიატივა, როგორც არის სახელდახელოდ აშენებული ბენდი. საჭიროა რომ ერთხელვე აშენებული იყვეს გამოცდილ ინჟინერთა მიერ გამაგრებული ამოყვანილი კედლები და იმ ზომამდე იყვეს შებოჭილი ეს მდინარენი, რომ მათი ამგვარი თარეში შეუძლებელი იყვეს და უპირველეს ყოვლისა კი სასტიკი ყურადღება მიექცეს ტყეებს, რომ ისინი უწყალოდ აღარ იჩეხებოდეს და მით არ ისპობოდეს მდინარეთა შემნახველ-შემკავებელი საშუალება.

მაგრამ მდინარეთა შენახვა-შეკავების საკითხის გარდა, სხვა არა ნაკლები თავსატეხი აქვს დღეს საინგილოს. ეს გახლავთ შაბიამნის საკითხი. შარშანდელის წლით შეშინებულნი მცხოვრებნი წელს დროზედ შეუდგნენ მის თადარიგს და ადგილობრივმა კოოპერატიულმა მაღაზიამ მცხოვრებთათვის დაიბარა 300 ფუთი შაბიამანი ფრიდონოვის ფირმისაგან. მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება რა ოინებიც ჩაიდინა ამ სახელოვანმა ფირმამ და ამიტომ მასზედ ლაპარაკს აღარ გავაგძელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ მან მხოლოდ სამი ბოჭკა შაბიამანი გვიწყალობა და მას შემდეგ რამდენიც შევეკითხევით გვიპასუხებს, ჯერ არ მიგვიღია ახალი პარტიაო. არ ვიცით რამდენად მართალია მისი სიტყვა, მაგრამ ეს კია რომ ჩვენ ამგვარ პასუხებს შემდეგ, ფრიდონოვისაგან ცნობა მოუვიდათ ადგილობრივ ჩარჩ ვაჭრებს წარმოადგინეთ მოწმობები, რომ ვენახები გაქვთ და შაბიამანს გამოგიგზავნითო. რასაკვირველია ამგვარი მოწმობები იმათ მაშინათვე აფრინეს (აბა რას დადგებოდნენ!) თუმცა მათში ვენახები მეოთხედსაც არ ექნება. რასაკვირველია ამის შემდეგ გამეორდება ჩვეულებრივი და ყველასაგან ცნობილი ხრიკი. კოოპერატიულს მაღაზიას, რომელსაც გროშობით ჰქონდა მოგროვილი ფული მევენახე გლეხებისაგან და ბეთ გაგზავნილი ფრიდონოვთან, არ ექნება შაბიამანი და ჩარჩ-ვაჭრებს კი, რომელნიც არაფერს მევენახეობას არ ეწევიან ბლომად ექნებათ და რასაკვირველია არა საკუთარი ვენახების მოსაწამლად არამედ 40—50 მანეთად გასაყიდათ.

აი აქ არის ჩვენი უბედურობა და ჩვენი უმწეობა, არსად და არასდროს ისე არ გამოშიშვლებულა ჩვენი ბედშაობა, როგორც დღეს ამ შაბიამანმა გააშიშვლა. ჩვენ ვერ შევგვიგნია, რომ ჩვენვე უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს, თორემ ფრიდონოვი და სხვა მის გვარნი ყოველთვის ფეხს დაგვაჭერენ და უმოწყალოდ გაგვყვლეფავენ. დროა, დრო შევიგნოთ, რომ ფრიდონოვს კი არ უნდა მივმართოთ ამ გვარს საქმეში, არამედ პირდაპირ ინგლისში, სადაც ჩვენებური კაცი ღამბაშიძე კარგა ხანია კამისიონერობას ეწევა. დღევანდელი გაკვეთილი ნეტავი შემდეგში მაინც გვასწავლის ჭკუას? თუ ისევ სხვის ხელში შემცქერალნი დავრჩებით.

გულგატეხილმა და სასოწარკვეთილმა არ შემიძლიან არ გიამბოთ ერთი ამბავი, რომელსაც საინგილოში ჰქონდა ადგილი და რომელიც სავსებით მოგაგონებთ ფრიდონოვის საქციელს. ს. კაკის კოოპერატივმა წარსულს შემოდგომაზედ ერთს ადგილობრივს ვაჭარს მოუპოვა უფლება ოცი ვაგონი ხორბლის მოტანისა საინგილოში, რომლიდგანაც სამი ვაგონი კოოპერატივის სრულს განკარგულებაში უნდა მიეცა. ვაჭარმა რასაკვირველია ისარგებლა უფლებით, მაგრამ ოცი ვაგონის მაგიერ მხოლოდ ათი ვაგონი მოიტანა და დანარჩენი ათი ვაგონის ნარიადი ურცხვად სხვისთვის გადაეცა, რასაკვირველია არა უსარგებლოდ და უსასყიდლოთ და ამ რიგად სრული ათი ვაგონის ნარიადი რომელიც დიდის გაჭირვებით იყო მოპოვებული ხელიდგან გამოჰგლიჯა საინგილოს დამშეულ გლეხკაცობას. ხმები გავრცელდა, რომ ვაჭარს თითო ვაგონის ნარიადი 250 მანეთად გაუყიდნიაო და ამ ამბავმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ხალხში. ოლქის უფროსმა ბ-მა ერმოლაევმა სასტიკი განკარგულება მოახდინა და 3000 მანეთით დააჯარიმა ვაჭარი. არც ეს აკმარა ოლქის უფროსმა ვაჭარს, როცა სადგურ ევლახზედ მოვიდა ორი ვაგონი ხორბალი სხვის სახელზედ გადაცემული, მაშინვე განკარგულება მისცა, რომლის ძალითაც ვაგონები კოოპერატიულ მაღაზიას გადაეცა.

ამ ნაირად დასაჯა დიდათ პატივცემულმა ოლქის უფროსმა აღვირწახსნილი თარეში ვაჭრისა, რომელსაც ნებავდა ხალხის გაჭირვებით ესარგებლნა და ჯიბეები გაეტენა ოქროებით. აი ასე სანაქებოთ უნდა იდევნებოდეს ყოველივე თარეში ვაჭრებისა. მე დარწმუნებული ვარ, შაბიამნის წარმოებასაც რომ ასე მოჰქცეოდნენ, მაშინ ის ვაკხანალია და აურზაური, რომელიც ფრიდონოვის შაბიამნის ირგვლივ არის ატეხილი, შესაძლებელი არ იქნებოდა.

ედილი.

## დაბა-სოფლები

**გურია.** გურიაში წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს. ახლად გაკვირტულ ვაზს მტევნები მრავლად გამოუბამს, რაც დიდ სიხარულს იწვევს, რადგან შარშან ყურძენი საწამლედაც არ იშოვებოდა თურმე. აბრეშუმის თესლის შეძენას თუმცა ეპირებიან, მაგრამ შიშობენ, ვაი თუ ყვითელ პარკს ფასი არა ჰქონდესო. როგორც გადმოგვცეს, უმთავრესად ყვითელი აბრეშუმის თესლი შემოუტანიათ წელს გურიაში. მინდვრები ჯერ-ჯერობით დაუხნელია, რაც იმასაც მოწმობს, რომ მხვნელ-მთესველნი საკმაოდ აღარ მოიპოვებიან სოფლებში. ჯერ-ჯერობით ფუთი სიმინდი აქ 1 მან. 50 კაპეიკად ფასობს. ადგილობრივი ღვინო სულ არ მოიპოვება და, ვისაც აქვს, ფუთს რვა მანეთად აფასებენ.

როგორც გადმოგვცეს, გურიის მასწავლებელთა შორის ტრიალებს აზრი შეაჩერონ გამოცემა ახლად გამოსულ ჟურნალ „სკოლა და ოჯახი“-სა. ამას იმით ასაბუთებენ, რომ ქართულ ენაზე ორ საპედაგოგიო ჟურნალის გამოცემა ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევს და თან დაქსაქსავს ისედაც საპედაგოგიო ასპარეზზე მცირე რიცხოვან მოღვაწეთა ძალებსო.

ოზურგეთში მოიყვანეს და ადგილობრივ ციხე-დარბაზში მოათავსეს 1400-მდე ტყვე ოსმალო. ტყვეები დრო გამოშვებით მუშაობენ ადგილობრივ მცხოვრებთა ბოსტან-ყანებში.

ბათომიდან ოზურგეთში გამოატარეს ტრაპიზონთან ბრძოლაში მოკლული პრაპორშჩიკი ა. კ. ასათიანი, რომელიც უნივერსიტეტიდან იყო გაწვეული სამსახურში.

დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს გურიაში და კერძოდ ოზურგეთში „სამეურნეო საზოგადოების“ დაარსება. განსაკუთრებით მადლიერად იხსენიებენ გაზეთ „საქართველოს“ და „სამშობლოს“ წარმომადგენლებს, რომლებიც დაესწრნენ ხსენებულ საზოგადოების კრებას. ჩვენ არც კი ვიცოდით, სთქვა ერთმა ადგილობრივმა ინტელიგენტმა, თუ რა უნდა ეთქვა ჩვენთვის თბილისიდან ჩამოსულ პრესის წარმომადგენლებს და მხოლოდ მათი ნალაპარაკევის შემდეგ დავრწმუნდით, რომ შეხამლებელი ყოფილა საქართველოში მომქმედ სხვა და სხვა ჯგუფების პრაქტიკულ საეკონომიო საქმიანობაში შეთანხმებაო. თქმა არ უნდა დიდი პატივისა და მადლობის ღირსია კნ. ნ. მ. ასული თავდგირიძისა, რომელმაც ეგოდენ უხვი შეწირულებით აღნიშნა გურიის სამეურნეო საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კრება და აგრეთვე თავ. ერ. ნაკაშიძე, რომელსაც ეკუთვნის ფასდაუდებელი ღვაწლი ამ საქმის დაგვირგვინებაში.

აქაური.

**ზუგდიდი.** 2 აპრილს აქ მოხდა მაზრის ყველა ტიპის სკოლების სახალხო მასწავლებელთა კრება, რომლის მიზანი იყო დაარსება ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების ფილიალური განყოფილებისა.—განყოფილება დაარსდა.—კრებაზე სხვათა შორის მიღებულ იქმნა რეზოლიუციები დედა-ენის სწავლების საქმის გაუმჯობესებისა.—კრებამ დაადგინა აგრეთვე გამოცხადდეს პროტესტი წინააღმდეგ თავდგირიძის ცნობილ კანონ-პროექტისა, რომელიც ხიფათს უმზადებს სამეგრელოს სკოლებსა.

3 აპრილს ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა ზუგდიდის ახლო-მახლო სოფლებში გაძარცვეს მეცხვარე და რამდენიმე სახლის პატრონი.—წაღებულია ფული და სხვა და სხვა ნივთები.—ადგილობრივი ბოქაული ბ-ნი ანთელავა დაედევნა მათ მთელის თავის ძალებითა. იმედია აღმოაჩენენ მძარცველთ.

მთელს მაზრაში არ მოიპოვება ერთი ნამცეცი არც შაბიამანი, არც გოგირდი და არც სხვა რამ ვენახების წამლობისა.—ვენახების პატრონები დიდს საგონებელში არიან ჩავარდნილი.

4 აპრილს ზუგდიდის მაზრის სოფ. ფახულანში ორს შეზარხოშებულ თავადს მოუვიდათ ვიღაცასთან ჩხუბი, რომლის დროსაც თ-მა აფ—ძემ იშიშვლა ბრაუნინგი და გამოეკიდა მოწინააღმდეგეს.—ჩაერივნენ გამშველებელნი, მაგრამ სიფხიზლე დაკარგულმა აფ—ძემ ვერ მოუარა მომართულ ავტომატიურ ბრაუნინგს, გაუვარდა რამოდენიმეჯერ ზედი-ზედ და შემთხვევით დაიჭრა სამი კაცი—ერთი თვით აფ—ძის სიძე—ჩხოტუა და ორიც სხვა.

კაი.

**ფშავეთი.** ახლოვდება ზაფხული. სადაცაა ფშავლები ცხვარ-საქონელს შირაქიდან ამოჰრეკენ მთებზე და ქისტებსაც გაეხსნება ფშავეთისაკენ სათარეშოდ გზა. 1915 წ. ფშაველებმა ორი ამორჩეული კაცი გაუგზავნეს მაზრის უფროს.ცსთხოვდენ: აწ იარაღი მოგვეცით ან მძარცველებისაგან დაგვიფარეთო. მაგრამ ხალხის თხოვნა ჯეროვნად არ იქმნა დაკმაყოფილებული როცა ბევრი საქონელი გაგვტაცეს,—მერე მიიღეს ზომები და მთებზე ყარაულები დააყენეს, მაგრამ იქაც უნდა შევნიშნოთ, რომ მეტი ნაწილი ყარაულებისა ქისტებივე იყვნენ. ფშავეთის ხეობაზე ხომ კაცს აღარ გაევლება. ყოველ დღე ხალხის ძარცვა-გლეჯა იყო. ერთის სიტყვით, რომ დაღამდებოდა კარში ველარავინ გამოდიოდა. ამ ვაი-ვაგლახში ზამთარმაც მოატანა, მთებზე თოვლი მოვიდა და გზები შეიკრა. ზედაც ახალი ბოქაული დანიშნეს ბ-ნი ცისკარაშვილი რომლის მეოხებითაც ყაჩაღობა სრულიად შეწყდა. ოთხი აპრილიდან ფშავეთში საპოლიციო სადარაჯო მოხსნეს და მთელი ეს კუთხე ღვთის ანაბარა მიატოვეს, მაშინ როცა სწორედ ეხლაა საჭირო პოლიციის დახმარება ამან შუაფხოს საზოგადოებაში მღელვარება გამოიწვია: აირჩიეს ორი კაცი და თხოვნით გუბერნატორს გაუგზავნეს. აი მოკლედ შინაარსი თხოვნისა: „წარსულ 1915 წელში ჩვენზე შეწუხებული არ იქმნებოდა. ის ხალხიც კი რომლის მიწა-წყალიც მტერმა დაიჭირა. ფშავის ხეობაზე ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ყოველ დღე ძარცვა-გლეჯაა და სხვ. შემდეგ აღწერენ ძარცვა-გლეჯის შემთხვევებს და აღნიშნავენ პოლიციის დაუხმარებლობას ან შემთხვევათა დაფარვას მთავრობის წინაშე.

თხოვნას ასე ათავებენ:

„მოვახსენებთ რა ჩვენს მდგომარეობას თქვენს აღმატებულებას, უმორჩილესად გთხოვთ „ორ—წყალში სადარაჯო არ მოისპოს და მთებზე ყარაულები გამრავლდეს. ერთის სიტყვით ჩვენ ჩვენს თავს თქვენს მფარველობაში ვგრძნობთ და იმედიცა გვაქვს მოგვივლით და გვიპატრონებთ. უკვე თუ არ დაგვპირდებით პატრონობას, იმ შემთხვევაში ნება მოგვეცით უწინდებულად შევიარაღდეთ და შეძლების დაგვარად ჩვენვე გაუძლვეთ ჩვენს საქმეს და დავიფაროთ შემოსეული მტრისაგან და ყაჩაღებისაგან ჩვენი თავი.“

როგორც მოგეხსენებათ ფშავლები მეცხვარეობას და მესაქონლეობას მისდევენ. ნივთიერად ძალიან დაწინაურებულნი არიან; მაგრამ მოსვენებას არ აძლევენ მეზობელი ქისტები და ხევსურები. დარწმუნებული ვართ, რომ თუ ფშაველების თხოვნამ თიანეთის მაზრის უფროსის გულში ვერ იპოვა შესაფერი ადგილი, თბილისის გუბერნატორი მაინც ყურადღებას მიაქცევს და მფარველობას გაუწევს ამ მშვიდობიან ხალხს და აღარ განმეორდება ის, რაც მოხდა შარშან ზაფხულზე.

ფ. სხვიტორელი.

## შემოწირულება

გიგზავნით ხუთ მანათს ჭკადუაშის საკრედიტო ამხანაგობის მიერ გადადებულს ომიანობისაგან დაზარალებულ ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოდ და გთხოვთ დანიშნულებისამებრ გადასცეთ.

რიყე-ჭკადუაშის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე მღ. არსენ ხვინგია.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

### თბილისიდან გადის:

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 სად. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 სად. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 ღამ. |

### თბილისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . 9.30 სად. |
| „ | სამგ. „ | 10 | . 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 სად. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

### მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

### თელავიდან

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |


## 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3 მ.** გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთნა. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** დ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი თ-დ **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

## „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

## თევზის მრეწველნი

## ძმ. მეგვინეთუხუცესიშვილები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

## განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 4.